

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტი  
სამაგისტრო პროგრამის „ქრისტიანული თეოლოგია“ - მაგისტრანტის,

დავით თინიკაშვილის სამაგისტრო ნაშრომი

თემაზე

**რომის კათოლიკური ეკლესიის განსხვავებული დოგმატური  
სწავლებანი მართლმადიდებელ ეკლესიასთან დიალოგის  
კონტექსტში**

**ხელმძღვანელი:**

თეოლოგიის დოქტორი,  
პროფ. თეიმურაზ ბუაძე

**თბილისი**

**2010**

# შ ი ნ ა ა რ ს ი

## წინასიტყვა

**თავი 1. Filioque - მოხსნილი პრობლემა** ----- გვ. 5

- 1.1. Filioque წმ. წერილში
- 1.2. Filioque აღმოსავლურ და დასავლურ საქრისტიანოში
- 1.3. ჭეშმარიტების დასტური ვატიკანიდან
- 1.4. ანტიკათოლიკეთა “ანტიფილიოკვური” არგუმენტები
- 1.5. ერთობა მრავალფეროვნებაში თუ მონოლითური ერთობა?

**თავი 2. დოგმატი პაპის პრიმატის შესახებ** ----- გვ. 24

- 2.1. ბიბლიური საფუძვლები
- 2.2. პატრისტიკული მემკვიდრეობა
- 2.3. მსოფლიო საეკლესიო კანონები
- 2.4. სხვა ისტორიულ-კანონიკური არგუმენტები
- 2.5. თანამედროვე კათოლიკური კანონიკა
- 2.6. კრებითობა vs. მონარქიზმი
- 2.7. პრიმატის საკითხის შესაძლო გადაწყვეტა

**თავი 3. დოგმატი პაპის უცდომელობის შესახებ** ----- გვ. 56

- 3.1. დოგმატის არსი
- 3.2. მართლმადიდებელთა პოზიცია
- 3.3. საკითხის გადაწყვეტის პერსპექტივის შესახებ

**თავი 4.**

**დოგმატი ღვთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის შესახებ** ----- გვ. 66

**თავი 5.**

**დოგმატი ღვთისმშობლის ზეცად ამაღლების შესახებ** ----- გვ. 74

## წინასიტყვა

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომსა (და შემდგომში ასევე სადოქტორო დისერტაციაშიც) განზრახული გვაქვს ქრისტიანული რელიგიის ორი უმთავრესი მიმდინარეობის - აღმოსავლეთის მართლმადიდებელი და რომის კათოლიკური ეკლესიის სწავლებათა შორის არსებული განსხვავებული ხედვების შედარებითი ანალიზის გაკეთება. სამაგისტრო ნაშრომს მხოლოდ შემდეგ დოგმატურ საკითხებს ვუძღვნით: „ფილიოკვე“-ს, დოგმატებს პაპის პრიმატისა და უცდომელობის შესახებ, ე. წ. მარიოლოგიურ დოგმატებს ღვთისმშობლის უბიწოდ ჩასახვისა და მარიამის ზეცად ამაღლების შესახებ (ნაშრომისთვის დადგენილი ლიმიტის გამო, სამწუხაროდ იძულებულნი ვართ სადოქტორო დისერტაციის ფარგლებში განვიხილოთ დოგმატური საკითხი განსაწმენდელის შესახებ, რომელიც კიდევ ერთ განსხვავებულ დოქტრინალურ საკითხს წარმოადგენს აღმოსავლური ღვთისმეტყველებისთვის).

სადოქტორო ნაშრომში განვაგრძობთ ამ ორი ეკლესიის სწავლების განსხვავებული პუნქტების შედარებასა და ასევე მათ შეფასებას ადრეული ქრისტიანული ეკლესიის სწავლების საფუძველზე საეკლესიო სწავლების შემდეგ სფეროებში:

- სოტერიოლოგია (გამოსყიდვის სქოლასტიკური გაგება, ინდულგენციები);
- კანონიკა და კულტმსახურება (ეგქარისტული პრაქტიკა, ქანდაკებები);
- ეთიკა (ცელიბატი, ქორწინება...);
- ასკეტიკა (აღმოსავლ.-დასავლური ქრისტიანული მისტიკის თავისებურებანი);
- ისტორიული საკითხები („დიდი განხეთქილება“, ინკვიზიცია).

ნაშრომი დაწერილია კონკრეტული ეკლესიის, ამ შემთხვევაში, მართლმადიდებელი ეკლესიის თეოლოგის პოზიციიდან, თუმცა ყველანაირად ვცდილობდი არ შემესუსტებინა დიალოგისთვის აუცილებელი კონსტრუქციულობა და პატივისცემითი დამოკიდებულება ჩვენი დასავლელი ქრისტიანი ძმების მიმართ, რამდენადაც მხოლოდ ასეთ პირობებში არის

შესაძლებელი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი შეთანხმების მიღწევა იმ საკითხებზე, რომლებიც ხშირად უკიდურეს პოლემიკას იწვევს ამ ორი ეკლესიის წარმომადგენლებს შორის.

შეიძლება ითქვას, რომ ქართულ სინამდვილეში წინამდებარე კვლევა, რომელსაც მიზნად აქვს დასახული ამ ორი ეკლესიის სწავლების ურთიერთგანსხვავებული ნაწილების სისტემატური შედარებითი ანალიზი, - პირველი მცდელობაა<sup>1</sup>. სამწუხაროდ, დღემდე, როგორც ქართულ ისე რუსულ სინამდვილეში, ადგილი აქვს მხოლოდ და მხოლოდ ე. წ. „მამხილებლურ“ და საკმაოდ ღვარძლიან, ზოგჯერ ისტერიული პათოსით განმსჭვალულ მსჯელობებს აღნიშნულ თემაზე, რომლის მიზანია არა საერთო ენის გამონახვა გულწრფელი დიალოგის პირობებში და როგორც მინიმუმ დასავლელი ქრისტიანებისადმი მტრული ან თავდაცვითი დამოკიდებულების აბსურდულობის გაცნობიერება (რომ არაფერი ვთქვათ ქრისტიანული ერთობის მიღწევაზე ამ ორ ეკლესიას შორის), არამედ საკუთარი „დოქტრინალური უმწიკვლობით“ გამოწვეული ამაყი თვითტკობა, - რომელ მხარეც არ უნდა ამჟღავნებდეს მას, - და სხვათა უღმობელი კრიტიკა, როგორც ცალსახად „დაღუპვის გზაზე“ მდგარ ქრისტიანულ გაერთიანებებად. ნაშრომში, მირითადად, სწორედ რუსულ და ქართულ სივრცეში ამ თემატიკაზე გამოქვეყნებულ ნაშრომებს ვიყენებ მათი ტენდენციურობისა და არაკომპეტენტურობის წარმოჩენის მიზნით.

---

<sup>1</sup> აქ უნდა აღინიშნოს 2006-8 წლებში ჟურნალ „დიალოგის“ რამდენიმე ნომერში გამოქვეყნებული პროფესორ ზურაბ კიკნაძის (წარმომადგენდა მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიციას) და პროფესორ მერაბ ლაღანიძის (გამოხატავდა რომაულ კათოლიკურ პოზიციას) მიმოწერა ზოგიერთ ისტორიულ და კანონიკურ საკითხზე, რომლის მიზანიც, მართალია, არ ყოფილა ამ ორი ეკლესიის დოქტრინის განმასხვავებელი პუნქტების სისტემატური ანალიზი, მაგრამ წარმოადგენს შესანიშნავ მაგალითს იმისა, თუ როგორ უნდა იწარმოებოდეს კომპეტენტური (აკადემიური) და გაწონასწორებული (მშვიდი) თეოლოგიური დისკუსია მსგავს საკითხებზე.